

„Silk Go“ მომსახურებით სარგებლობის წესები და პირობები

1. მომსახურების ზოგადი აღწერა

- 1.1. „Silk Go“ განკუთვნილია სრულწლოვანი ფიზიკური პირებისთვის და ამავე მომსახურებით (შემდგომში: „მომსახურება“) სარგებლობა შესაძლებელია ყველგან (როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ), სადაც მომხმარებელს ექნება წვდომა ინტერნეტთან (როგორც ფიქსირებული, ასევე უსადენო ინტერნეტი) კავშირი.
- 1.2. „მომსახურება“ მოიცავს „სილქ ტვ“-ს გარკვეულ ფუნქციონალსა და კონტენტის (შინაარსის) ნაწილს. ამასთან, „მომსახურების“ კონტენტი (შინაარსი) და მასზე წვდომა განსხვავებულია საქართველოდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სარგებლობის/წვდომის შემთხვევებში.
- 1.3. „მომსახურების“ ფასიანი პაკეტის (შემდგომში: „ფასიანი პაკეტი“) შესაძენად აუცილებელია მომხმარებლის მიერ წინამდებარე წესებით გათვალისწინებული რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გავლა. ამასთან, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გარეშე, გარკვეულ ტერიტორიაზე, ვებ გვერდის www.silktv.ge საშუალებით, უყუროს „სილქნეტის“ მიერ განსაზღვრულ გარკვეულ, არაკომერციულ (ისეთი კონტენტი, რომელიც მომხმარებლისთვის ზოგადად ხელმისაწვდომია დამატებითი ანაზღაურების გარეშე ინტერნეტ სივრცეში) კონტენტს (ასეთის არსებობისას). ამასთან, აღნიშნულთან ერთად, რეგისტრაციის/ავტორიზაციის შემდეგ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, გარკვეულ ტერიტორიაზე საცდელ რეჟიმში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უყუროს სხვა კონტენტსაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.4. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს „მომსახურება“ მიიღოს შემდეგი ოპერაციული სისტემების/მოწყობილობების მეშვეობით:
 - პერსონალური კომპიუტერი (დესკტოპი; ლეპტოპი), Apple iOS (iPhone; iPad; iPod) 7 და შემდეგი ვერსიით და Google Android 4.1 (ეკრანული გაფართოებები: 480X800; 540X960; 600X1280; 720X1280; 800X1280; 1280X800; 1080X1920; 2560 x 1600) და ყველა შემდეგი ვერსიით აღჭურვილ მობილურ ტელეფონები და პლანშეტები.
- 1.5. „მომსახურების“ პროცესში, გამოიყენება წინამდებარე პუნქტში აღნიშნული ოპერაციული სისტემების/მოწყობილობების ისეთი მაჩვენებლები/მონაცემები, როგორცაა: მეხსიერება, ინტერნეტის სიჩქარე, აკუმულატორის სიმძლავრე და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სილქნეტი“ არანაირი სახით არ აგებს პასუხს „მომსახურების“ ისეთ ხარვეზებზე ან/და შეფერხებებზე/კავშირის წყვეტაზე, რომლებიც დამოკიდებულია ამავე ოპერაციული სისტემების/მოწყობილობების ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებზე/მონაცემებზე.

2. რეგისტრაციის/ „მომსახურების“/ „ფასიანი პაკეტის“ შექმნის/ავტორიზაციის ზოგადი პირობები/წესები

- 2.1. რეგისტრაცია „ფასიანი პაკეტის“ შესაძენად შესაძლებელია შემდეგი არხების საშუალებით:
 - ვებ გვერდი: www.silktv.ge, Apple App Store, Google Play Store. შესაბამის არხში, „მომსახურების“ აპლიკაცია განთავსებულია დასახელებით „Silk Go“.
- 2.2. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია „მომსახურების“ აპლიკაციის ჩამოტვირთვის ან/და ვებ გვერდის www.silktv.ge, გახსნის შემდეგ, იმავე მოწყობილობით, რომლითაც მოხდა „მომსახურების“ აპლიკაციის ჩამოტვირთვა/ვებ გვერდზე: www.silktv.ge წვდომა. რეგისტრაციის გავლა/შესაბამისი აპლიკაციის ჩამოტვირთვა უფასოა. ამასთან, „მომსახურების“ აპლიკაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია როგორც ერთ, ასევე რამდენიმე მოწყობილობაზე (მოწყობილობების რაოდენობა არ არის შეზღუდული).
- 2.3. შესაძლებელია 2 (ორი) სახის რეგისტრაცია:

- რეგისტრაცია „სილქნეტის“ მომხმარებლებისთვის (აბონენტებისთვის) და
- რეგისტრაცია „სილქნეტის“ მომსახურებების მიღების მსურველი პირებისთვის (ახალი აბონენტებისთვის).

- 2.4. ერთ პირადი ნომრით შესაძლებელია მხოლოდ ერთი რეგისტრაცია/ერთი ანგარიშის ნომრის დარეგისტრირება.
- 2.5. ერთი და იმავე მომხმარებლის სახელით (username) და პაროლით ავტორიზაცია ვებ გვერდზე და/ან მობილური მოწყობილობის აპლიკაციაში დასაშვებია შეუზღუდავად, თუმცა ერთი და იმავე მომხმარებლის სახელით (username) და პაროლით შესაძლებელია „ფასიანი პაკეტით“ განსაზღვრული კონტენტის არაუმეტეს ორი ერთდროული (პარალელურ რეჟიმში) ყურება. მესამე პარალელურ რეჟიმში ყურების მცდელობისას, მომხმარებელი ისარგებლებს იგივე უფლებებით, რაც აქვს დაურეგისტრირებელ აბონენტს (ანუ ექნება მხოლოდ არაკომერციული კონტენტის (ასეთის არსებობისას) ყურების შესაძლებლობა)).
- 2.6. შეძენილი „ფასიანი პაკეტის“ დროებით დაპაუზება არ არის შესაძლებელი. შეძენილი „ფასიანი პაკეტის“ (მათ შორის ყველა შეძენილი „ფასიანი პაკეტის“) დეაქტივაცია (გაუქმება), შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ონლაინ რეჟიმში.
- 2.7. მომხმარებლის მიერ, ყოველი მეორე და მომდევნო „ფასიანი პაკეტის“ შეძენა, არ იწვევს წინა შეძენილი ფასიანი პაკეტის ავტომატურად გაუქმებას/დეაქტივაციას (თუ ახლად შეძენილი „ფასიანი პაკეტი“ სხვა რამეს არ ითვალისწინებს) და შესაბამისად, აღნიშნულისთვის (წინა „ფასიანი პაკეტი“) განსაზღვრული სააბონენტო გადასახადის დარიცხვის შეწყვეტას.
- 2.8. ტერიტორიის მიუხედავად (არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ ტერიტორიაზე იმყოფება მომხმარებელი) შესაძლებელია ნებისმიერი „ფასიანი პაკეტის“ შეძენა, ხოლო ავტორიზაციისას/ვებ გვერდზე წვდომისას, შესაძლებელია მხოლოდ იმ შეძენილ „ფასიან პაკეტის“/საცდელ რეჟიმში გავრცელებულ კონტენტის ნახვა, რომელიც/რომლებიც ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ავტორიზაციის/წვდომის მომენტისთვის იმყოფება მომხმარებელი.
- 2.9. „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობის ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელის გადახდა შესაძლებელია „სილქნეტის“ ანგარიშის ნომრის მიხედვით (გადახდისას იდენტიფიკატორი არის „სილქნეტის“ ანგარიშის ნომერი).
- 2.10. იმ შემთხვევაში, თუ Silk Go აპლიკაციით მომსახურების მიღებისას, "Premium Georgia" პაკეტით სარგებლობა ხდება მომსახურება „ჯეოსელის“ იმ მობილური ნომრის საშუალებით, რომელიც მომხმარებელს დაფიქსირებული აქვს Silk Go-ზე რეგისტრაციისას (მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოწყობილობაშია აღნიშნული მობილური ნომერი განთავსებული), აპლიკაციით სარგებლობისას გახარჯული მომსახურება „ჯეოსელის“ მობილური ინტერნეტის ტარიფს მოიცავს "Premium Georgia" პაკეტის ღირებულება; ხოლო სხვადასხვა მოწყობილობებით სარგებლობისას, თუ მომხმარებელი Silk Go აპლიკაციით ("Premium Georgia" პაკეტით) სარგებლობს მომსახურება „ჯეოსელის“ ისეთი მობილური ნომრის საშუალებით, რომელიც არ არის დაფიქსირებული Silk Go-ზე რეგისტრაციისას, აპლიკაციით სარგებლობისას გახარჯულ ინტერნეტზე მოხდება ინტერნეტის სტანდარტული ტარიფის დარიცხვა, რომელიც: 1. გაიხარჯება მომსახურება „ჯეოსელის“ ამ ნომრის შესაბამისი ბალანსიდან ან 2. მოაკლდება მომსახურება „ჯეოსელის“ ამ ნომერზე გააქტიურებული (აქტიური) ინტერნეტ პაკეტის მოცულობას.
- 2.11. "Premium Georgia"-ს პაკეტით სარგებლობის შემთხვევაში, მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ღირებულება არ დაერიცხებათ ჯეოსელის შემდეგი Rate Plan-ების (სატარიფო გეგმის) აბონენტებს: Geocell 01, Geocell10, SME, Lai Lai, Geocell Staff, Geocell Test (დანარჩენი Rate Plan-ების (სატარიფო გეგმის) აბონენტებზე 2.10. პუნქტით განსაზღვრული პირობა არ გავრცელდება).

3. რეგისტრაციის/ „მომსახურების“/ „ფასიანი პაკეტის“ შექმნის/ავტორიზაციის პირობები/წესები „სილქნეტის“ არსებული აბონენტებისთვის

3.1. „სილქნეტის“ აბონენტის მიერ რეგისტრაციისას, მომხმარებელი „მომსახურებას“ აბამს „სილქნეტის“ უკვე არსებულ ანგარიშზე, უთითებთ პირად ნომერს და იმ მობილური ტელეფონის ნომერს, რომელიც დაფიქსირებულია „სილქნეტის“ აბონენტთა მონაცემთა ბაზაში (თუ ბაზაში დაფიქსირებულია ერთზე მეტი მობილური ტელეფონის ნომერი, თავად ირჩევს სასურველ ნომერს), რის შემდგომაც, „მომსახურება“ ავტომატურად რეგისტრირდება (მიეზმება) აბონენტის პირადი ნომრის შესაბამის ანგარიშის ნომერს (თუ პირად ნომერზე მიზმულია ერთზე მეტი ანგარიშის ნომერი, აბონენტი თავად ირჩევს სასურველ ანგარიშს). იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტის“ მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება აბონენტის (მომხმარებელი) მობილური ტელეფონის ნომერი და/ან ნომერი არასწორი ფორმატით არის შეყვანილი, ასეთი აბონენტი ვერ შეძლებს „მომსახურებაზე“ რეგისტრაციას და ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართოს „სილქნეტის“ ცხელ ხაზს (ტელ: 2 100100) ან სერვის-ცენტრს.

შენიშვნა:

- „მომსახურების“ უკვე არსებულ ანგარიშზე მიზმისას, აღნიშნულ ანგარიშზე არსებული (რეგისტრირებული) მომსახურებები არ უნდა გქონდეთ ცალმხრივად ან ორმხრივად შეზღუდული. რეგისტრაციის დასრულებისას, მომხმარებელს დროებით ენიჭება ახალი (დროებითი) ანგარიშის ნომერი (დაახლოებით 1 სამუშაო დღის ვადით), ხოლო შემდგომ (მოცემული ვადის ამოწურვისას) ენიჭება იმ ანგარიშის (არსებული ანგარიში) ნომერი, რომელიც აირჩია რეგისტრაციისას. ამასთან, იმ პერიოდში, რა დროსაც აბონენტს მინიჭებული აქვს დროებითი ანგარიშის ნომერი, ისარგებლებთ წინასწარი გადახდის (Pre Pay) სისტემით და იმისთვის, რომ ამ პერიოდში მოახდინოთ “ფასიანი პაკეტის” შექმნა (აქტივაცია), წინასწარ უნდა შეიტანოთ თანხა დროებით მონიჭებულ ანგარიშზე. “სილქნეტის” არსებული ანგარიშის ნომერის მონიჭებისთანავე, აბონენტი ისარგებლებს Post Pay სისტემით და დროებით ანგარიშზე არსებული დადებითი ბალანსი (ასეთის არსებობისას) ავტომატურად გადავა Post Pay ანგარიშზე.
- იმ შემთხვევაში, თუ დროებითი ანგარიშის ნომრის მინიჭების პერიოდში შეიძენთ „ფასიანი პაკეტს“ და ამავდროულად, „სილქნეტის“ არსებულ ანგარიშზე დავალიანების გამო შეგეზღუდებათ მომსახურება/მომსახურებები, აბონენტი „სილქნეტის“ არსებული ნომრის მინიჭების შემდგომ, ვერ შეძლებს „Silk Go“ მომსახურებით შექმნილი „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობას/ „ფასიანი პაკეტის“ გააქტიურებას, ამავე ანგარიშზე („სილქნეტის“ არსებული ანგარიში) რიცხული დავალიანების დაფარვამდე.

3.2. მომხმარებლის მიერ, „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობის ყოველთვიური ღირებულების გადახდა, ხდება იმ სააბონენტო ანგარიშის პირობებით, რომელზეც მიზმულია „მომსახურება“ (Post Pay). შესაბამისად, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მოქმედებს იმ სააბონენტო ანგარიშის შეზღუდვებისა და აღდგენის პირობები, რომელზეც მიზმულია მომსახურება.

3.3. აბონენტის მიერ, რეგისტრაციის/ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, ამავე მომსახურებაზე რიცხული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ბალანსი, დარჩება იმ სააბონენტო ანგარიშზე, რომელზეც მიზმული იყო „მომსახურება“.

4. რეგისტრაციის/ „მომსახურების“ / „ფასიანი პაკეტის“ შექმნის/ავტორიზაციის პირობები/წესები „სილქნეტის“ არსებული/ახალი აბონენტებისთვის

- 4.1. თუ რეგისტრაციის მსურველი პირი არ არის „სილქნეტის“ აბონენტი/მომხმარებელი ან არ სურს „სილქნეტის“ უკვე არსებულ ანგარიშზე „მომსახურების“ გაერთიანება, რეგისტრაციისას ავტომატურად მიენიჭება „სილქნეტის“ ახალი აბონენტის ანგარიშის ნომერი.
- 4.2. აბონენტის მიერ, „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობის ყოველთვიური ღირებულების გადახდა, ხდება წინასწარი/საავანსო გადახდის (Pre Pay) პრინციპით. შესაბამისად, ანგარიშზე დადებითი ბალანსის არ არსებობისას, აბონენტი ვერ შეძლებს ფასიანი პაკეტის შექმნას/ აბონენტს შეეზღუდება (გაეთიშება) „ფასიანი პაკეტი“.
- 4.3. თუ აბონენტი რეგისტრაციიდან 6 (ექვსი) კალენდარული თვის განმავლობაში არ შეიტანს თანხას ანგარიშზე, რეგისტრაცია გაუქმდება, რაც ავტომატურად ნიშნავს ანგარიშის გაუქმებასაც.
- 4.4. აბონენტის მიერ რეგისტრაციის/ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, ამავე მომსახურებაზე რიცხული დადებითი ბალანსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აბონენტს დაუბრუნდება „სილქნეტში“ არსებული წესის შესაბამისად, რომლის პირობებიც განთავსებულია ვებ გვერდზე: www.silknet.com აღნიშნული წესისამებრ.

5. სხვა პირობები

- 5.1. „სილქნეტს“ უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოახდინოს სისტემის (აპლიკაციის) განახლება/გაუმჯობესება (UPDATE), ფუნქციონალის დამატება/გამოკლება, დიზაინისა და სტრუქტურის ცვლილება.
- 5.2. „სილქნეტს“ უფლება აქვს „აბონენტის“ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეწყვიტოს/გააუქმოს ან/და შეაჩეროს „მომსახურება“ („ფასიანი პაკეტის“ მიწოდება) იმ შემთხვევაში, თუ:
 - აბონენტი არღვევს წინამდებარე წესებს/პირობებს;
 - არსებობს ეჭვი იმისა, რომ „მომსახურების“ აპლიკაციით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი ან/და აბონენტი „მომსახურების“ აპლიკაციას („ფასიანი პაკეტს“) /საცდელ რეჟიმში გავრცელებულ/არაკომერციულ კონტენტს იყენებს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობისათვის.
- 5.3. „მომსახურების“ აპლიკაციით სარგებლობა/აპლიკაციის გამოყენება/აპლიკაციაზე წვდომა/ „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობა/საცდელ რეჟიმში/არაკომერციული კონტენტის ყურება შესაძლებელია/დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე წესების დაცვით/წინამდებარე წესების ფარგლებში, შესაბამისად, „მომსახურების“ „აპლიკაციის ფასიანი პაკეტის“ /საცდელ რეჟიმში გავრცელებული კონტენტის გამოყენება ან/და ამ ყველაფერთან წვდომა აღნიშნული წესების დარღვევით (ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესებით/პირობებით, ასევე, ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც აკრძალულია წინამდებარე წესებით პირობებით), ჩათვლება არასანქცირებულ/უკანონო გამოყენებად/წვდომად და „სილქნეტს“ უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოახდინოს „მომსახურების“/ „ფასიანი პაკეტის“/საცდელ რეჟიმში გავრცელებული კონტენტის შეჩერება/გაუქმება, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რეაგირება.
- 5.4. „სილქნეტი“ არანაირი სახით არ აგებს პასუხს იმ შემთხვევებზე, როდესაც მომხმარებელი რეგისტრაციისას მიუთითებთ არასწორ ან არასრულ ინფორმაციას (მისამართი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვ). აღნიშნულით გამოწვეულ ყველა შედეგზე, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.
- 5.5. მომხმარებელი ვალდებულია, არ დაუშვას „მომსახურების“/ „მომსახურების“ აპლიკაციის/ „ფასიანი პაკეტის“ ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და ფროდის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვათ „სილქნეტის“ ქსელთან

მიერთებული ნებისმიერი აბონენტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მოწყობილობა ან/და ტექნიკური საშუალება ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. აბონენტი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, „სილქნეტის“ მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს;

5.6. ტრაფიკის, ან/და „ფასიანი პაკეტის“ სარგებლობისთვის დარიცხული ღირებულების შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ სილქნეტის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/ სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.

შენიშვნა:

- **ფროდი:** „მომსახურებისთვის“ დაწესებული „მომსახურების ღირებულების“ გადახდისაგან თავის არიდების გზით, „მომსახურების“ უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად მიღება.
- **ტრაფიკი:** საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადაცემული მონაცემების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

5.7. „სილქნეტი“ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეგიზღუდოთ „მომსახურება“/„ფასიანი პაკეტი“, თუ გაჩნდება ეჭვი, რომ აბონენტისთვის მიწოდებული „მომსახურება“/ფასიანი პაკეტი გამოყენებულია „ფროდის“ მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდთან“.

5.8. „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობის ტარიფები, მოცემულია ვებ გვერდზე: www.silktv.ge

5.9. რეგისტრაციის გავლა ნიშნავს, რომ მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება წინამდებარე წესებს/პირობებს.

5.10. „სილქნეტს“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები პირობები ვებ გვერდზე www.silktv.ge გამოქვეყნებით, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ მომხმარებელი ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

6. ჯარიმები Post Pay სისტემის მომსახურებებზე:

6.1. 2014 წლის 01 ოქტომბრიდან, Post Pay სისტემის აბონენტს, მომსახურებების (გარდა CDMA ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დარიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები განიხილება ცალკე მომსახურებებად.

7. ტარიფები

სააბონენტო პაკეტი	სილქნეტის სხვა სერვისებზე რეგისტრირებული მომხმარებელი / ტარიფი ლარში	სილქნეტის ახალი მომხმარებელი (ცალკე მდგომი სერვისი) / ტარიფი ლარში
"Basic Georgia"	-	-
"Premium Georgia"	3	3
"Premium Worldwid"	10	15